პროფესიული წინსვლა • ხედვა • გასაუბრება

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ხედვა და გასაუბრება

ხშირად დასმული კითხვები

2026

რა არის ხედვა?

ეს არის თქვენი პროფესიული ჩანაფიქრის აღწერა:

რა?

რა კონკრეტული ცვლილება სჭირდება სკოლას/სკოლებს

რატომ?

რატომ არის ეს ცვლილება საჭირო

რას?

რას გააკეთებთ არჩეული მიმართულებით

ვისთან?

ვისთან ერთად განახორციელებთ

შედეგი

როგორ გაიგებთ, რომ ცვლილება მოხდა

რატომ გვთხოვენ ხედვის წარმოდგენას?

იმისთვის, რომ გამოჩნდეს:

1. რამდენად კარგად იცნობთ მიმართულების არსს;
2. რა ცვლილებების განხორციელებას მიიჩნევთ საჭიროდ;
3. რამდენად გაქვთ ამ მიმართულებით დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილება;
4. როგორ აპირებთ თანამშრომლობას სასკოლო საზოგადოებასთან;
5. რა შედეგების მიღწევას მოელით და როგორ შეაფასებთ განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობას სკოლაში/სკოლებში.

რას ნიშნავს განაცხადის გაკეთება?

ხედვის წარდგენა = განაცხადი

განაცხადის გაკეთება გულისხმობს კარიერული წინსვლის მსურველი მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ ხედვის წარდგენას - მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი სისტემაში ტვირთავს ხედვას, რომლითაც აკეთებს განაცხადს კარიერულ წინსვლაზე.

ამ კონტექსტში განაცხადის გაკეთება და ხედვის წარდგენა ერთი და იგივე პროცესია.

აუცილებელია თუ არა კარიერული წინსვლა და ამისთვის განაცხადის გაკეთება?

არა. განაცხადის გაკეთება სავალდებულო არ არის, რადგან კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია.

თუ წინსვლა გსურთ

მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი განაცხადს აკეთებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურს კარიერული წინსვლა და შესაბამისი უფრო მაღალი სტატუსის მოპოვება.

თუ წინსვლა არ გსურთ

მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი აგრძელებს არსებული სტატუსით საქმიანობას. ხედვის დოკუმენტის ატვირთვაც ამ შემთხვევაში საჭირო არ არის, ვინაიდან ხედვა კარიერული წინსვლისთვის საჭირო განაცხადის ნაწილია.

რა შემთხვევაში ვწერ ხედვას?

ხედვას წერთ მხოლოდ მაშინ, როდესაც გსურთ კარიერული წინსვლა და სტატუსის შეცვლა. მაგალითად:

უფროსი → წამყვანი

თუ უფროსი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ხართ და წამყვანი მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის სტატუსის მოპოვებას გეგმავთ.

წამყვანი → მენტორი

თუ წამყვანი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ხართ და მენტორი მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის სტატუსის მოპოვება გსურთ.

უნდა ატვირთოს თუ არა ხედვა წამყვანმა ან მენტორმა მასწავლებელმა/სპეციალურმა მასწავლებელმა, თუ იგი მხოლოდ მისთვის ვალდებულების ფარგლებში განაწილებულ ფუნქციას ასრულებს და კარიერული წინსვლა არ სურს?

- *არა. თუ წამყვან მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს არ სურს სტატუსის ამაღლება, ის განაცხადს არ აკეთებს. ამ შემთხვევაში მას მხოლოდ წამყვანი მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის ფუნქციის შესრულება ევალება.*
- *მენტორ მასწავლებლებს კი მხოლოდ მენტორი მასწავლებლის ფუნქციის შესრულება ევალებათ და არ სჭირდებათ წინსვლის განაცხადი, ვინაიდან მენტორებს, რომლებმაც აღნიშნული სტატუსი 2026 წლამდე მოიპოვეს, ახალი სქემით რესურსცენტრის დონეზე სამივე მიმართულება უკვე დადასტურებულად აქვთ აღიარებული.*

როდის არის საჭირო ხედვის წარდგენა?

ხედვის დოკუმენტის ატვირთვა საჭიროა კარიერული წინსვლის განაცხადის წარდგენისას.

როდის არ არის საჭირო ხედვის წარდგენა?

თუ წამყვანი ან მენტორი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი მხოლოდ მისთვის განაწილებულ ფუნქციას ასრულებს და კარიერული წინსვლისთვის განაცხადს არ აკეთებს, ხედვის დოკუმენტის ატვირთვა არ მოეთხოვება.

წამყვანის/მენტორის გამოცდა ჩაბარებული მაქვს - მაინც უნდა ავტვირთო ხედვა?

დიახ, იმ შემთხვევაში, თუ უფროსი ან წამყვანი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ხართ და გსურთ, რომ გახდეთ წამყვანი ან მენტორი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი.

ხედვა = განაცხადი

კარიერული წინსვლის მსურველი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ხედვას ელექტრონულ სისტემაში ტვირთავს - სწორედ ეს არის განაცხადი წინსვლაზე.

გამოცდის ჩაბარების უპირატესობა

წამყვანის/მენტორის გამოცდის ჩაბარების გამო, წინსვლის პროცესში თქვენ გათავისუფლდებით სავალდებულო აკადემიური კურსისგან და სტატუსის ამაღლებას შეძლებთ მხოლოდ წინსვლის მიზნებისთვის განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის დადებითად შეფასების საფუძველზე.

ვის აქვს წამყვანის სტატუსის მოსაპოვებლად წინსვლის განაცხადის გაკეთების შესაძლებლობა?

- *უფროს მასწავლებლებს.*
- *უფროს სპეციალურ მასწავლებლებს;*

წინსვლისთვის უფროსი მასწავლებელი ჩამოთვლილთაგან უნდა აკმაყოფილებს მინიმუმ ერთ-ერთ წინაპირობას:

ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა;

საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს არანაკლებ 50%-იანი შედეგით;

სტატუსი მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხის საფუძველზე;

სტატუსი მინიჭებული აქვს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის დასრულების საფუძველზე.

შენიშვნა: წინსვლის შესაძლებლობისთვის აუცილებელია, რომ შესაბამის სკოლაში წინსვლისთვის შერჩეული მიმართულებით არსებობდეს ვაკანტური ადგილი შესაბამისი პოზიციისთვის: საგნის მასწავლებლისთვის - მასწავლებლის ვაკანტური ფუნქცია, სპეციალური მასწავლებლისთვის - სპეციალური მასწავლებლის ვაკანტური ფუნქცია.

ვის აქვს მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად წინსვლის განაცხადის გაკეთების შესაძლებლობა?

- *წამყვან მასწავლებლებს;*
- *წამყვან სპეციალურ მასწავლებლებს.*

წინსვლისთვის წამყვანი მასწავლებელი ჩამოთვლილთაგან უნდა აკმაყოფილებს მინიმუმ ერთ-ერთ წინაპირობას:

ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა;

საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს არანაკლებ 50%-იანი შედეგით;

სტატუსი მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხის საფუძველზე;

სტატუსი მინიჭებული აქვს მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის დასრულების საფუძველზე.

შენიშვნა: წინსვლის შესაძლებლობისთვის აუცილებელია, რომ შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრში წინსვლისთვის შერჩეული მიმართულებით არსებობდეს ვაკანტური ადგილი შესაბამისი პოზიციისთვის: საგნის მასწავლებლისთვის - მასწავლებლის ვაკანტური ფუნქცია, სპეციალური მასწავლებლისთვის - სპეციალური მასწავლებლის ვაკანტური ფუნქცია.

შემიძლია წინსვლის განაცხადის გაკეთება, თუ შრომითი ურთიერთობა დროებით შეჩერებული მაქვს (შვებულება, დეკრეტი...)?

არა, შრომითი ურთიერთობის დროებით შეჩერების პერიოდში სისტემა არ იძლევა კარიერული წინსვლის განაცხადის გაკეთების შესაძლებლობას.

რატომ?

კარიერული წინსვლის პროცესი უკავშირდება მასწავლებლის აქტიურ პროფესიულ საქმიანობას და გულისხმობს მის მიერ დამატებითი ფუნქციის შესრულებასა და შესაბამისი პასუხისმგებლობების აღებას. შესაბამისად, კარიერული წინსვლის პროცესში მონაწილეობისთვის აუცილებელია, მასწავლებელ/სპეციალურ მასწავლებელს ჰქონდეს მოქმედი (აქტიური) შრომითი ურთიერთობა, რათა შეძლოს შესაბამისი ფუნქციის პრაქტიკაში განხორციელება.

რატომ არ მიჩვენებს სისტემა ღილაკს „განაცხადის შევსება“ / რატომ მიწერს, რომ წინსვლის უფლება არ მაქვს?

თუ სისტემაში არსებული მონაცემებით კარიერული წინსვლისთვის განსაზღვრულ წინაპირობებს არ აკმაყოფილებთ, „წინსვლის“ განყოფილებაში გამოჩნდება შესაბამისი შეტყობინება და განაცხადის შევსების ღილაკი ხელმისაწვდომი არ იქნება. შესაძლო მიზეზები:

50%-ზე ნაკლები შედეგი

უფროსი მასწავლებლის სტატუსი საგნობრივი კომპეტენციის 50%-ზე ნაკლები შედეგის საფუძველზე გაქვთ მოპოვებული - ასეთ შემთხვევაში კარიერული წინსვლისთვის საჭიროა საგნის გამოცდის ჩაბარება.

მოწვეული ან შემცვლელი

სკოლაში დასაქმებული ხართ მოწვეული ან შემცვლელი მასწავლებლის პოზიციაზე.

საავადმყოფო ფურცელი ან შვებულება

განაცხადის გაკეთების პერიოდში დროებით შრომისუუნარობის (საავადმყოფო ფურცლის) ან შვებულების პერიოდში იმყოფებით.

სად უნდა გავაკეთო კარიერული წინსვლის განაცხადი?

განაცხადი კეთდება ახალი eSchool-ის ელექტრონულ სისტემაში.

ინსტრუქცია

სისტემაში ავტორიზაციისა და განაცხადის გაკეთების დეტალური ინსტრუქცია გადაგზავნილია თითოეულ სკოლასა და საგანმანათლებლო რესურსცენტრში. ასევე, ინსტრუქციების გაცნობა შეგიძლიათ შესაბამის ბმულზე: [ბმული].

რომელ დონეზე ვაკეთებ განაცხადს?

სკოლის დონე

თუ უფროს მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს სურს წამყვანი მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის სტატუსის მოპოვება, განაცხადს აკეთებს სკოლის დონეზე.

რესურსცენტრის დონე

თუ წამყვან მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს სურს მენტორი მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის სტატუსის მოპოვება, განაცხადს აკეთებს რესურსცენტრის დონეზე.

თუ ვარ უფროსი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი და რამდენიმე სკოლაში ვმუშაობ, რომელ სკოლაში უნდა გავაკეთო განაცხადი?

1. თუ ორ ან მეტ სკოლაში ხართ დასაქმებული, სისტემაში განაცხადის გაკეთებისას „დაწესებულების“ ველის ჩამონათვალიდან უნდა აირჩიოთ ის სკოლა, რომელშიც გსურთ კარიერული წინსვლის პროცესის გავლა.

2. სკოლის არჩევის შემდეგ სისტემა სწორედ ამ სკოლაში არსებულ ვაკანტურ ადგილებს გაჩვენებთ.

ერთდროულად მასწავლებლადაც და სპეციალურ მასწავლებლადაც ვმუშაობ. როგორ მოვიქცე?

უნდა აირჩიოთ, რომელი პოზიციით გსურთ კარიერული წინსვლა.

„მასწავლებელი“

წინსვლა მასწავლებლის პოზიციით

„სპეციალური მასწავლებელი“

წინსვლა სპეციალური მასწავლებლის პოზიციით

განაცხადს გააკეთებთ ერთ-ერთი პოზიციისთვის და წინსვლის პროცესს არჩეული პოზიციის შესაბამისად განახორციელებთ.

რატომ ვერ ვირჩევ სასურველ მიმართულებას?

სკოლის დონეზე

შეგიძლიათ აირჩიოთ მიმართულება, რომელშიც შესაბამის სკოლას აქვს ვაკანტური ადგილი.

რესურსცენტრის დონეზე

ხელმისაწვდომია მხოლოდ ის მიმართულება, რომელშიც ასრულებთ წამყვანი მასწავლებლის/წამყვანი სპეციალური მასწავლებლის ფუნქციას; დანარჩენ მიმართულებებზე გამოჩნდება „ამ დონეზე არ არის ხელმისაწვდომი“.

რას ნიშნავს მიმართულების ბარათზე მითითებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა?

რას აჩვენებს ბარათი?

თითოეული მიმართულების ბარათზე ჩანს ამ მიმართულებით დაწესებულებაში არსებული ვაკანტური ადგილების რაოდენობა.

რა არის პირობა?

განაცხადის გაკეთებისთვის არჩეულ მიმართულებაში მინიმუმ 1 ვაკანტური ადგილი უნდა არსებობდეს.

კონკრეტულ ვაკანტურ ფუნქციას ვირჩევ?

არა. განაცხადს აკეთებთ არჩეულ მიმართულებაზე.

რატომ?

წინასწარ ცნობილი არ არის, რომელი ფუნქციის შესრულება დაგეკისრებათ, განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

რა უნდა გამოჩნდეს ხედვაში?

რომ ფლობთ მიმართულებისთვის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ კომპეტენციებს.

შემიძლია თუ არა განაცხადის გაკეთება, თუ ვაკანტური ადგილი არ არის?

მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განვასხვავოთ პროფესიული განვითარება და კარიერული დაწინაურება. მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს შეუძლია მუდმივად განავითაროს საკუთარი პროფესიული კომპეტენციები, თუმცა მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის კარიერული წინსვლა ეფუძნება სკოლის/საგანმანათლებლო რესურსცენტრის საჭიროებებს და არა მხოლოდ მასწავლებლის ინდივიდუალურ სურვილს, აიმაღლოს სტატუსი.

კარიერული წინსვლა გულისხმობს მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ დამატებითი ფუნქციის შესრულებას, სწორედ ამიტომ, კარიერული წინსვლის შესაძლებლობა ჩნდება მაშინ, როდესაც სკოლას/საგანმანათლებლო რესურსცენტრს განსაზღვრული აქვს შესაბამისი საჭიროება და გამოცხადებულია ვაკანტური ადგილი.

***შესაბამისად, ვაკანტური ადგილის არარსებობის შემთხვევაში განაცხადის გაკეთება შეუძლებელია**, რადგან კარიერული წინსვლის მიზანია არა მხოლოდ მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის პროფესიული მიღწევების აღიარება, არამედ მისი შესაძლებლობების გამოყენება სკოლის/სკოლების კონკრეტული საჭიროებების საპასუხოდ.*

აუცილებელი წინაპირობა

კარიერული წინსვლისთვის განაცხადის გაკეთების აუცილებელი წინაპირობაა შესაბამის დაწესებულებაში, თქვენ მიერ შერჩეული მიმართულებით ვაკანტური ადგილის არსებობა.

თუ ვაკანსია არ არის

ეს არ ნიშნავს, რომ მასწავლებლის პროფესიული კომპეტენცია ან მიღწევები არასაკმარისია. ეს ნიშნავს, რომ მოცემულ ეტაპზე დაწესებულებაში არ არსებობს შესაბამისი დამატებითი ფუნქციების შესრულების საჭიროება, რომლის საფუძველზეც მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი შეძლებდა კარიერულ წინსვლას.

შემიძლია თუ არა ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ხედვის წერისას?

AI შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხედვის ტექსტის სტრუქტურირებისა და ენობრივი გამართვისთვის.

შინაარსი - თქვენია

ხედვის შინაარსი, მიზნები და განვითარების მიმართულებები კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას, ცოდნასა და პირად ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. კანდიდატმა თავად უნდა განსაზღვროს და გადმოსცეს საკუთარი გამოცდილება, მიღწევები, მის მიერ დანახული საჭიროებები და დაგეგმილი ცვლილებები.

რაში დაგეხმარებათ AI?

AI-ის დახმარებით შესაძლებელია მოსაზრებების უფრო თანმიმდევრულად დალაგება, ტექსტის სტრუქტურის გაუმჯობესება და ფორმულირებების დახვეწა, რათა კანდიდატის სათქმელი უფრო მკაფიოდ წარმოჩნდეს.

აქვს თუ არა მნიშვნელობა, რომელ საგანს ვასწავლი, როდესაც კარიერული წინსვლის მიზნით ხედვას ვწერ?

არა - არ არის აუცილებელი ხედვა კონკრეტულ საგანს უკავშირდებოდეს ან საგნობრივი შინაარსის მიხედვით იყოს აგებული.

რა უნდა წარმოაჩინოს ხედვამ?

თქვენი პროფესიული გამოცდილება, განვითარების მიზნები და ის ცვლილებები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავთ უფროსის სტატუსიდან წამყვანის ან წამყვანი სტატუსიდან მენტორის სტატუსის მოპოვების შემთხვევაში.

თუ ორ საგანს ასწავლით

შეგიძლიათ ხედვაში ორივე საგნის სწავლების გამოცდილება გამოიყენოთ, თუმცა ეს აუცილებელი არ არის.

მთავარია, ხედვა ასახავდეს თქვენს პროფესიულ მიზნებსა და განვითარების მიმართულებას და არა - კონკრეტული საგნის სწავლების გეგმებს.

ხედვა და გასაუბრება ცალ-ცალკე ფასდება?

არა, ხედვა და გასაუბრება ერთიანობაში ფასდება. კომისია შეფასებას აკეთებს გასაუბრების შემდეგ.

1. წარდგენა

ხედვას წარადგენთ ელექტრონულ სისტემაში.

2. ხედვის გაცნობა

კომისია ეცნობა წერილობით ხედვას.

3. გასაუბრება კომისიასთან

ხედვის გაცნობის შემდეგ ტარდება გასაუბრება.

რამდენად მნიშვნელოვანია ხედვის ტექსტის მოცულობა და ფორმა?

ინსტრუქცია გვერდების რაოდენობას არ ადგენს - მოკლე ხედვაც შეიძლება იყოს სრულყოფილი.

მოცულობა და ფორმა

წინასწარ განსაზღვრული მოცულობა ან ფორმატი არ არის გადამწყვეტი.

რა არის მთავარი?

აზრის სიცხადე, თანმიმდევრულობა და არგუმენტირება.

გაითვალისწინეთ, რომ ხედვას თავად წერთ და უმჯობესია დაწეროთ პირველ პირში.

ფასდება არა ტექსტის სიგრძე, არამედ ის, რამდენად პასუხობს ხედვა ხუთ კრიტერიუმს.

რა უნდა აღვწერო ხედვაში?

ხედვა აღწერს, როგორ აპირებთ არჩეული მიმართულებით დაგეგმილ მუშაობას და უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:

რა?

რა კონკრეტული ცვლილების განხორციელებას ისახავთ მიზნად სკოლაში/სკოლებში?

რატომ?

რატომ არის ეს ცვლილება მნიშვნელოვანი სკოლის/სკოლების საჭიროებებისთვის?

როგორ?

როგორ გეგმავთ ცვლილების განხორციელებას პრაქტიკაში?

ფოკუსი: ცვლილება, მისი საჭიროება და განხორციელების ლოგიკა.

შემიძლია ხედვაში ჩემი პროფესიული გზა აღვწერო?

პროფესიული გამოცდილება გამოიყენეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის თქვენი ხედვისა და დაგეგმილი ცვლილებების დასაბუთებას ემსახურება.

რას უნდა გაუსვათ ხაზი?

- რას აპირებთ
- რა ცვლილების განხორციელება გსურთ
- რა ამოცანებს დასახავთ
- როგორ უკავშირდება თქვენი გამოცდილება ამ ამოცანებს

რას უნდა მოერიდოთ?

- პროფესიული გზის ქრონოლოგიურ აღწერას
- ზოგად განცხადებებს კონკრეტული შინაარსის გარეშე
- გამოცდილების ჩამოთვლას, რომელიც ხედვის ამოცანებს არ უკავშირდება

გამოცდილება მნიშვნელოვანია მაშინ, როცა ის ხედვას ასაბუთებს.

რა ტიპის გამოცდილება წარმოვაჩინო?

ისეთი, რომელიც აჩვენებს არჩეული მიმართულების ცოდნასა და კოლეგებთან თანამშრომლობის გამოცდილებას.

არჩეული მიმართულების ცოდნა

აჩვენეთ, რომ იცნობთ მიმართულების თემატიკას.

მაგალითად, საგანმანათლებლო კვლევის არჩევისას აღწერეთ, რა საკითხები შეგისწავლიათ, რომელ კვლევაში მიგიღიათ მონაწილეობა ან როგორ გამოგიყენებიათ კვლევის შედეგები.

კოლეგებთან თანამშრომლობა

მოიყვანეთ მაგალითები, თუ როგორ გიმუშავიათ კოლეგებთან სხვადასხვა საკითხზე, გაგიზიარებიათ ცოდნა და გამოცდილება ან ერთობლივად გიმუშავიათ ცვლილების განსახორციელებლად, რა შედეგები მიგიღიათ.

მაგალითი უნდა უკავშირდებოდეს არჩეულ მიმართულებასა და დასახულ ამოცანებს.

ხედვაში ვადები უნდა მივუთითო?

არა - აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები სამოქმედო გეგმის ნაწილია და არა ხედვის.

თვეები და ზუსტი ვადები

ამოცანების თვეების მიხედვით გაწერა და ზუსტი ვადების მითითება ხედვაში საჭირო არ არის.

სამოქმედო გეგმა

დეტალური აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები სამოქმედო გეგმის ნაწილია.

ხედვა აჩვენებს იმას, რა ცვლილება გსურთ და რატომ - და არა დეტალურ განრიგს.

არსებობს ხედვის სავალდებულო ნიმუში?

არა, ინსტრუქცია ხედვის წარდგენის სავალდებულო ფორმას არ განსაზღვრავს.

რეკომენდებული გზა

ხუთ ნაწილად აგება, შეფასების ხუთი კრიტერიუმის მიხედვით.

როგორ შეფასდება ჩემი ხედვა და გასაუბრება?

ხედვა და გასაუბრება ერთიანობაში ფასდება ხუთი კრიტერიუმით.

1. მიმართულებისა და ფუნქციების არსზე მსჯელობა
2. საქმიანობის ამოცანების განსაზღვრა
3. სამიზნე ჯგუფის ჩართულობის უზრუნველყოფა
4. გავლენა კოლეგების პროფესიულ განვითარებასა და სკოლაზე
5. მიღწეული შედეგების შეფასება

რამდენი ქულა მჭირდება დადებითი შეფასებისთვის?

მინიმუმ 16 ქულა 20-დან.

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 0–4 ქულით

4	სრულად შეესაბამება
3	ძირითადად შეესაბამება
2	ნაწილობრივ შეესაბამება
1	მინიმალურად შეესაბამება
0	არ არის წარმოდგენილი

დადებითი შეფასება

მაქსიმალური ჯამური ქულა: 20

დადებითი შეფასებისთვის საჭიროა მინიმუმ 16 ქულა.

ხედვა და გასაუბრება თანაბარი მნიშვნელობისაა.

რა ნაწილებისგან უნდა შედგებოდეს ჩემი ხედვა?

რეკომენდებულია, ხედვა ხუთი ნაწილისგან შედგებოდეს, რომელთაგან თითოეული შეფასების ერთ კრიტერიუმს შეესაბამება.

01
მიმართულებისა და ფუნქციების არსზე მსჯელობა

02
ამოცანების განსაზღვრა

03
სამიზნე ჯგუფის ჩართულობა

04
გავლენა კოლეგებსა და სკოლაზე

05
მიღწეული შედეგების შეფასება

როგორ მოვემზადო ხედვის დაწერამდე?

გაიარეთ მოსამზადებელი ნაბიჯები:

1. გადახედეთ შერჩეული მიმართულებისა და ფუნქციების აღწერას.
2. განსაზღვრეთ, რატომ არის ეს მიმართულება მნიშვნელოვანი.
3. შეარჩიეთ საკუთარი პრაქტიკის კონკრეტული მაგალითები.
4. გაითვალისწინეთ შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები.
5. ფოკუსირდით იმ საკითხებზე, რომლებზეც რეალური გავლენის მოხდენა შეგიძლიათ.

რამდენ მიმართულებაზე ვწერ ხედვას?

უფროს მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს აქვს უფლება აირჩიოს ერთ-ერთი მიმართულება. ხოლო წამყვანი მასწავლებელი ხედვას წერს იმ მიმართულებაზე, რომელშიც სკოლის დონეზე ასრულებს ვალდებულებას.

სწავლა-სწავლება

მართვა/ადმინისტრირება

საგანმანათლებლო კვლევა

ხედვა ერთ ფუნქციაზე უნდა დავწერო?

არა. *ყველა ფუნქციის ცალკე განხილვა აუცილებელი არ არის.*

ხედვის ფოკუსი

ხედვა იწერება არჩეულ მიმართულებაზე მთლიანობაში და არა მხოლოდ ერთ ფუნქციაზე.

რა არის მნიშვნელოვანი?

წარმოაჩინეთ იმ საკითხების ცოდნა და კომპეტენციები, რომლებშიც რეალურად გაქვთ გამოცდილება.

ფუნქციები ხედვის საფუძველია, მაგრამ არა მისი სტრუქტურა. ხედვის სტრუქტურას შეფასების ხუთი კრიტერიუმი განსაზღვრავს.

ხედვის პირველ კრიტერიუმთან მიმართებით კონკრეტულად რას ვწერ?

როგორ გესმით მიმართულება და ფუნქციები თქვენი სკოლის კონტექსტში.

რა?

რა ცვლილებაა საჭირო სკოლაში.

რატომ?

რატომ არის ეს ცვლილება მნიშვნელოვანი.

ვისთვის?

ვინ შეიძლება იყოს სამიზნე ჯგუფში - მოსწავლეები, კოლეგები, მშობლები და სხვ.

მსჯელობა დაასაბუთეთ საკუთარი პრაქტიკის მაგალითით.

რა უნდა ვაჩვენო ამოცანებში?

ამოცანებში უნდა იმსჯელოთ, რა უნდა გაკეთდეს სასურველი ცვლილების მისაღწევად. იგი არ არის ღონისძიებების კალენდარი.

ამოცანა აღწერს

- რა უნდა გაკეთდეს სასურველი ცვლილების მისაღწევად
- როგორ უკავშირდება ამოცანა მიმართულებასა და მის ფუნქციებს
- ვისთან ერთად განხორციელდება
- რატომ არის საჭირო

ამოცანა არ არის

- ცალკეული ღონისძიების დასახელება
- აქტივობების კალენდარი
- თარიღების, რესურსებისა და პასუხისმგებელი პირების ჩამონათვალი

რა უნდა გავითვალისწინო ამოცანების ფორმულირებისას?

ამოცანები უნდა უკავშირდებოდეს სასურველ ცვლილებას, ერთმანეთს ლოგიკურად მოსდევდეს და ერთობლივად ასახავდეს არჩეული მიმართულებით დაგეგმილ საქმიანობას. შესაბამისად, ამოცანების რაოდენობა წინასწარ არ არის განსაზღვრული.

ამოცანა ≠ აქტივობა

„ჩატარდება შეხვედრები“ აღწერს აქტივობას და არა - ამოცანას. ამოცანამ უნდა აჩვენოს, რა უნდა შეიცვალოს ან რა უნდა განვითარდეს სასურველი შედეგის მისაღწევად.

თითოეულ ამოცანასთან აჩვენეთ, ვისთან თანამშრომლობით აპირებთ მის განხორციელებას.

ყველა ფუნქციაზე ამოცანა უნდა მქონდეს?

არა, სავალდებულო არ არის.

კავშირი

ერთი ამოცანა შეიძლება ერთ ან რამდენიმე ფუნქციას უკავშირდებოდეს, ერთ ფუნქციას კი - რამდენიმე ამოცანა.

უპირატესობა

რაც უკეთ ჩანს ფუნქციების თემატიკის გააზრება, მით უკეთ წარმოჩინდება თქვენი კომპეტენცია.

ამოცანა და აქტივობა ერთი და იგივეა?

არა, ამოცანა და აქტივობა ერთი და იგივე არ არის.

ამოცანა

კონკრეტული საკითხი ან გამოწვევა, რომელზეც მუშაობას გეგმავთ. აჩვენებს, რა საკითხებზე აპირებთ მუშაობას.

აქტივობა

კონკრეტული მოქმედება, რომელსაც ამ საკითხის გადასაჭრელად განახორციელებთ. განმარტავს, როგორ აპირებთ ამოცანის გადაჭრას.

ხედვაში მნიშვნელოვანია ამოცანების განსაზღვრა.

ვინ შეიძლება იყოს სამიზნე ჯგუფი?

ის, ვისაც თქვენი ამოცანები ეხება - ზუსტად მიუთითეთ.

- კოლეგები
- მოსწავლეები
- მშობლები
- ადმინისტრაცია

ან სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეები - დაგეგმილი ცვლილების მიხედვით.

როგორ ვაჩვენო სამიზნე ჯგუფის ჩართულობა?

სამიზნე ჯგუფი პროცესის აქტიური მონაწილეა და არა მხოლოდ ინფორმაციის მიმღები. ხედვაში უნდა ჩანდეს:

მონაწილეობა

როგორ ჩაერთვება ჯგუფი დაგეგმილ საქმიანობაში?

გამოცდილება

როგორ გამოიყენებთ ჯგუფის ცოდნასა და გამოცდილებას?

ჩართულობა უნდა ჩანდეს როგორც საქმიანობის დაგეგმვაში, ისე ცვლილების განხორციელებაში.

როგორ ვაჩვენო თანამშრომლობა ხედვაში?

თანამშრომლობა მხოლოდ ინფორმაციის გაზიარება არ არის - ეს ერთობლივი გააზრება, მოქმედება და უკუკავშირია.

ერთობლივი მოქმედება

აჩვენეთ, როგორ ჩაერთვებიან კოლეგები ამოცანების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

უკუკავშირი და ცვლილება

იმსჯელეთ რა გამოწვევები შეიძლება შეგხვდეთ კოლეგების პროცესებში ჩართვის თვალსაზრისით და რა სტრატეგიებს გამოიყენებთ ამოცანების რეალიზებაში მათ ჩასართავად.

როგორ ვაჩვენო გავლენა კოლეგებსა და სკოლაზე?

განმარტეთ, რა შეიცვლება კოლეგების პრაქტიკაში, როგორ აისახება ეს მოსწავლეებსა და სკოლაზე და როგორ შენარჩუნდება მიღებული შედეგი.

კოლეგების განვითარება

როგორ შეუწყობთ ხელს კოლეგების პროფესიულ განვითარებას და რა შეიცვლება მათ პრაქტიკაში?

სკოლის პრაქტიკა

როგორ აისახება ცვლილება მოსწავლეთა სწავლასა და სკოლის საერთო პრაქტიკაზე?

მდგრადობა

როგორ გაგრძელდება პროცესი და რა უზრუნველყოფს მიღწეული ცვლილებების შენარჩუნებას?

ერთჯერადი ღონისძიება თავისთავად არ აჩვენებს მდგრადი ცვლილების მექანიზმს.

როგორ აჩვენებთ, რომ ცვლილება გაგრძელდება და არ იქნება ერთჯერადი (მდგრადობის უზრუნველყოფა)?

ერთჯერადი ღონისძიება

ტრენინგი, შეხვედრა ან სამოდელო გაკვეთილი თავისთავად არ ადასტურებს, რომ კოლეგების პრაქტიკა შეიცვლება.

მდგრადი მექანიზმი

აღწერეთ, როგორ გაგრძელდება თანამშრომლობა, როგორ გამოიყენებენ კოლეგები მიღებულ გამოცდილებას და რა დაეხმარება სკოლას ახალი პრაქტიკის შენარჩუნებაში.

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რას გააკეთებთ, არამედ რა დარჩება სკოლის/სკოლების პრაქტიკაში.

რა ჩავთვალოთ შედეგად?

შედეგი არის პრაქტიკაში შესამჩნევი ცვლილება, რომელსაც მტკიცებულებით ადასტურებთ.

შედეგი არის ცვლილება

შედეგი არ არის აქტივობის დასახელება. აღწერეთ, რა შეიცვლება პრაქტიკაში და როგორ იქნება ეს ცვლილება შესამჩნევი.

როგორ შეაფასებთ?

წინასწარ განსაზღვრეთ, როგორ შეაფასებთ დაგეგმილი ცვლილებების შედეგებს და რაზე დაყრდნობით იმსჯელებთ მათ ეფექტიანობაზე. მაგალითად:

- გაკვეთილებზე დაკვირვება;
- მოსწავლეებისა და კოლეგების უკუკავშირის გაანალიზება;
- საწყისი მდგომარეობისა და მიღებული შედეგების შედარება…

შეფასების შედეგები გამოიყენეთ შემდგომი დაგეგმვისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

რამდენი მაგალითი უნდა მოვიყვანო ჩემი პრაქტიკიდან მოსაზრების დასასაბუთებლად?

იმდენი, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევთ შესაბამისი კრიტერიუმის დასასაბუთებლად.

რა არის მთავარი?

მაგალითები კონკრეტული უნდა იყოს და ნათლად წარმოაჩენდეს თქვენს გამოცდილებასა და პროფესიულ შესაძლებლობებს.

მინიმალური მოთხოვნა

მინიმუმ ერთი მაგალითის მოყვანა აუცილებელია.

თითოეული კრიტერიუმისთვის განსხვავებული მაგალითი უნდა მოვიყვანო?

არა, აუცილებელი არ არის.

ერთი მაგალითი - რამდენიმე კრიტერიუმი

ერთი და იგივე მაგალითი შეიძლება რამდენიმე კრიტერიუმს შეესაბამებოდეს, თუ ის თითოეულ მათგანს სათანადოდ წარმოაჩენს.

რამდენიმე მაგალითი

საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ სხვადასხვა კრიტერიუმის დასასაბუთებლად რამდენიმე მაგალითიც გამოიყენოთ.

მთავარია, მსჯელობით ნათლად აჩვენოთ, როგორ უკავშირდება მაგალითი შესაბამის კრიტერიუმს.

როგორ მოვემზადო გასაუბრებისთვის?

კარგად იცოდეთ საკუთარი ხედვა და თითოეულ კრიტერიუმზე მოამზადეთ მაგალითი საკუთარი პრაქტიკიდან.

გასაუბრებამდე

- გადაიკითხეთ საკუთარი ხედვა.
- დარწმუნდით, რომ თითოეული წინადადების ახსნა შეგიძლიათ.
- თითოეულ კრიტერიუმზე მოამზადეთ მაგალითი საკუთარი პრაქტიკიდან.

გასაუბრების დროს

- დააკონკრეტეთ წერილობით წარმოდგენილი მოსაზრებები.
- უპასუხეთ დამაზუსტებელ შეკითხვებს.
- აჩვენეთ, რა გააკეთეთ, ვისთან ერთად და რა შედეგით.

გასაუბრება წერილობით ხედვასთან ერთად ფასდება და მას აზუსტებს.

რა კითხვებს დამისვამენ?

ძირითადი კითხვები შეფასების ხუთ კრიტერიუმს მიჰყვება.

1. მიმართულებისა და ფუნქციების არსი
2. ამოცანების კავშირი და საჭიროება
3. სამიზნე ჯგუფის მონაწილეობა და განსხვავებული აზრი
4. გავლენა და მდგრადობა
5. შეფასება და მტკიცებულებები

ყველას ერთნაირ კითხვებს დაუსვამენ?

ძირითადი კითხვები იდენტურია; დამატებითი კითხვები - თქვენი ხედვის მიხედვით.

ძირითადი კითხვები

საორიენტაციო კითხვები ყველასთვის ერთნაირია, კრიტერიუმებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დამატებითი კითხვები

შეიძლება დაისვას როგორც ხედვაში ზოგადად ან არასრულად წარმოდგენილი საკითხების დასაზუსტებლად, ისე საუბრის პროცესში დამატებითი განმარტების საჭიროების შემთხვევაში.

კითხვების დასმა არ ნიშნავს, რომ ხედვა არასწორად ან არასათანადოდ არის წარმოდგენილი - მათი მიზანია საკითხების უკეთ გააზრება და მასწავლებლისთვის მსჯელობისა და პროფესიული ხედვის სრულად წარმოჩენის შესაძლებლობის მიცემა.

გასაუბრებაზე პირად მაგალითებს მკითხავენ?

დიახ - თითოეულ კრიტერიუმთან დაკავშირებულ საკითხზე საჭიროა მაგალითი პირადი პრაქტიკიდან.

მინიმუმ ერთი მაგალითი

თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით საჭიროა მინიმუმ ერთი რეალური მაგალითის მოყვანა.

ერთი მაგალითი - რამდენიმე კრიტერიუმი

ერთი და იგივე მაგალითი შეიძლება რამდენიმე კრიტერიუმის დასასაბუთებლადაც გამოიყენოთ, თუ ის თითოეული მათგანის მოთხოვნას შეესაბამება.

მთავარია, ნათლად წარმოაჩინოთ, როგორ უკავშირდება თქვენი მაგალითი თითოეულ კრიტერიუმს.

შემიძლია გასაუბრებაზე დავაზუსტო ჩემი ხედვა?

დიახ - ხედვა და გასაუბრება ერთიანობაში ფასდება და თანაბარი მნიშვნელობისაა.

როგორ იწერება ქულა?

შემფასებელი თითოეულ კრიტერიუმში ერთ ქულას წერს ორივე კომპონენტის ერთობლივი ანალიზით - მხოლოდ გასაუბრების დასრულების შემდეგ.

რას ნიშნავს ეს ჩემთვის?

რაც ხედვაში მოკლედ დაწერეთ, გასაუბრებაზე შეგიძლიათ დააკონკრეტოთ და საკუთარი პრაქტიკის მაგალითით დაასაბუთოთ.

გასაუბრება ცალკე კომპონენტი არ არის - ის წერილობით ხედვას აზუსტებს.

ყველა კრიტერიუმს უნდა ახლდეს მაგალითი?

დიახ - ყველა კრიტერიუმში საჭიროა საკუთარი პრაქტიკის კონკრეტული მაგალითი.

წერილობით

ხედვის ტექსტში.

და/ან გასაუბრებაზე

თუ წერილობით მოკლედ წარმოადგინეთ.

როგორ მოვიყვანო კონკრეტული მაგალითი?

მაგალითი უნდა ეფუძნებოდეს თქვენს რეალურ გამოცდილებას და აჩვენებდეს რა გააკეთეთ ამ მიმართულებით საკუთარ პრაქტიკაში.

რა გავაკეთე?

აღწერეთ კონკრეტული მოქმედება ან გადაწყვეტილება.

ვისთან ერთად?

მიუთითეთ, როგორ ჩაერთნენ კოლეგები ან სხვა დაინტერესებული პირები.

რა შეიცვალა?

აღწერეთ შედეგი და ის, როგორ შეიტყვეთ ან შეაფასეთ იგი.

„ხშირად ვთანამშრომლობ კოლეგებთან“ ზოგადი განცხადებაა; კონკრეტული შემთხვევა კი აჩვენებს თქვენს რეალურ წვლილს.

შეიძლება, ხედვაში იმ სკოლაში/სხვა დაწესებულებაში მიღებული გამოცდილებაც წარმოვადგინო, სადაც ამჟამად აღარ ვასწავლი?

დიახ.

- ეს მასწავლებლის პროფესიული გამოცდილების ნაწილია.

სჭირდება თუ არა ხედვას ხელმოწერა სისტემაში ატვირთვისას?

არა.

- არ არის საჭირო დოკუმენტის ხელმოწერა და დასკანერება - შეგიძლიათ ატვირთოთ ელექტრონულად მომზადებული სახით.

ხედვის დოკუმენტის გაფორმებისთვის განსაზღვრულია თუ არა კონკრეტული მოთხოვნები - ხელმოწერა, შრიფტი ან გვერდების რაოდენობა?

არა.

- ხედვის დოკუმენტისთვის არ არის განსაზღვრული კონკრეტული შრიფტი, შრიფტის ზომა ან გვერდების რაოდენობა.
- სასურველია, დოკუმენტში მითითებული იყოს თქვენი სახელი და გვარი.

უნდა დავურთო თუ არა ხედვას მტკიცებულებები, მაგ., ბმულების სახით?

არა, არ არის სავალდებულო.

განაცხადის გაკეთებისას მხოლოდ ხედვის დოკუმენტი უნდა ავტვირთო?

დიახ.

- სისტემაში ტვირთავთ მხოლოდ თქვენ მიერ შერჩეული მიმართულების შესაბამის ხედვის დოკუმენტს.
- თავად განაცხადი ცალკე დოკუმენტის სახით არ იტვირთება - იგი ივსება და იგზავნება უშუალოდ სისტემაში.

განაცხადი გავაგზავნე და შეცდომა აღმოვაჩინე. შემიძლია ცვლილების შეტანა?

დიახ, თუ განაცხადის წარდგენის ვადა არ არის ამოწურული და ღილაკი „რედაქტირება“ ხელმისაწვდომია.

- შეგიძლიათ შეცვალოთ მიმართულება ან ხედვის დოკუმენტი.
- მიმართულების შეცვლის შემთხვევაში, ატვირთული დოკუმენტიც ახალ მიმართულებას უნდა შეესაბამებოდეს.

შემიძლია უკვე გაგზავნილი განაცხადის გაუქმება?

დიახ.

- განაცხადის წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის განმავლობაში თქვენ გაქვთ წარდგენილი განაცხადის გაუქმების უფლება.
- დეტალური ინფორმაციისთვის შეგიძლიათ გაეცნოთ განაცხადის გაკეთების ინსტრუქციას.

რა უნდა გადავამოწმო პროცესის დასრულების შემდეგ?


დარწმუნდით, რომ:

- განაცხადი სისტემაში ასახულია სტატუსით „წარდგენილი“;
- სწორად არის მითითებული პოზიციის ტიპი, დონე, დაწესებულება და მიმართულება;
- ხედვის დოკუმენტი სწორად არის ატვირთული.

როგორ შევამოწმო ხედვა წარდგენამდე?

გაიარეთ თვითშეფასება - თითოეულ პუნქტზე პასუხი უნდა იყოს „დიახ“.

- ☐ ხედვა მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.
- ☐ ჩანს მიმართულებისა და ფუნქციების არსის გააზრება.
- ☐ ამოცანები უკავშირდება ხედვას.
- ☐ აღწერილია სამიზნე ჯგუფის ჩართულობის სტრატეგიები.
- ☐ ნაჩვენებია გავლენა კოლეგებსა და სკოლაზე.
- ☐ ჩანს შედეგის შეფასებისა და მდგრადობის გზა.
- ☐ თითოეულ ნაწილს ახლავს პრაქტიკული მაგალითი.
- ☐ შემიძლია ხედვის თითოეული ნაწილის ახსნა.



წარმატებულ საქმიანობას გისურვებთ!